სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080141135539618

№ 2003 29 / აგვისტო / 2018 წ.

შპს „გამწვანება - 2016“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT180004498;

შესყიდვის ობიექტი: 03400000 – მეტყევეობისა და ტყეკაფვის პროდუქტები;

მიმწოდებელი: შპს „გამწვანება - 2016“ (ს/ნ: 406185131);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 6 ივლისს წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის 2018 წლის 5 ივლისის № 12-01181862654 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 5653), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გამწვანება - 2016“-ის (ს/ნ: 406185131) მიერ NAT180004498 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 1 მაისის № 03.01/30/214 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „გამწვანება - 2016“-ს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის n_orjonikidze@hotmail.com მეშვეობით, 2018 წლის 10 ივლისის № 2485 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2018 წლის 13 და 20 აგვისტოს შპს „გამწვანება - 2016“-მა წარმოადგინა განმარტებები (რეგისტრაციის № 6773 და № 6985) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2018 წლის 1 მაისის № 03.01/30/214 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით, უნდა გაეწია აღმოსავლური ჭადრის დარგვისა და თანმდევი მოვლა-პატრონობის მომსახურება. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 99 509,96 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 ივლისი. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა 2018 წლის 2 ივლისის № 18-01181833482 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 1 მაისის №03.01/30/214 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და შპს „გამწვანება - 2016“-ს დააკისრა პირგასამტეხლო 8 955,90 ლარის ოდენობით.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 8 ივნისის № 18-01181593643 წერილი, რომლითაც მას მოეთხოვა ხარვეზების აღმოფხვრა 2018 წლის 15 ივნისამდე, კომპანიას ჩაბარდა 2018 წლის 12 ივნისს. მიმწოდებელმა განმარტა, რომ მან მეორე დღესვე დაიწყო ნერგების ჩანაცვლება, თუმცა განსაზღვრული დრო იყო არასაკმარისი. ამდენად, მან შემსყიდველ ორგანიზაციას მოსთხოვა ვადის გაგრძელება 20 ივნისამდე, თუმცა პასუხი არ მიუღია. მიმწოდებელმა ასევე აღნიშნა, რომ მან 2018 წლის 20 ივნისს დაასრულა წუნდებული ნერგებისა და ჭიგოების ჩანაცვლება, ასევე წარადგინა შესაბამისი დოკუმენტები. გარდა ამისა, ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება საექსპერტო დასკვნით ასევე დაადასტურა საქართველოს ეროვნულმა ბოტანიკურმა ბაღმა. მიუხედავად აღნიშნულისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ შეწყვიტა ხელშეკრულება. მიმწოდებელმა ასევე მიუთითა ხელშეკრულების 9.5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, შემსყიდველ ორგანიზაციას ჰქონდა უფლება, შეეწყვიტა ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებელი 5 დღეზე მეტი ვადით გადააცილებდა დავალებით განსაზღვრულ ვადას. მიმწოდებლის განმარტებით, მას აღნიშნული ვადა არ დაურღვევია. ამდენად, შემსყიდველ ორგანიზაციას არ ჰქონდა ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება. მიმწოდებელმა საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად ასევე წარმოადგინა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 20 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა NAT180004498 ელექტრონული ტენდერი ნერგების, ჩითილების (CPV03451100) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 24 აპრილის №4 სხდომის ოქმით შპს „გამწვანება - 2016“ (ს/ნ: 406185131) გამოვლინდა გამარჯვებულად და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2018 წლის 1 მაისს მხარეთა შორის გაფორმდა № 03.01/30/214 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით, ეტაპობრივად უნდა გაეწია აღმოსავლური ჭადრის დარგვისა და თანმდევი მოვლა-პატრონობის მომსახურება. ნერგები უნდა დარგულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი დავალების შესაბამისად. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 99 509,96 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 ივლისი.

4.4. 2018 წლის 10 მაისის №18-01181302144 წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა მიმწოდებელს წარუდგინა მისამართები და მოსთხოვა ნერგების დარგვა არაუგვიანეს 2018 წლის 31 მაისისა.

4.5. 2018 წლის 16 მაისის წერილით მიმწოდებელმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს აცნობა, რომ მის მიერ მითითებული მისამართებიდან ერთ-ერთზე აღმოჩნდა ელექტროკაბელების გაყვანილობა, რაც შეუძლებელს ხდიდა ნერგების დარგვას. ამდენად, მიმწოდებელმა მოითხოვა სხვა ტერიტორიის მითითება.

4.6. 2018 წლის 23 მაისის №18-01181433801 წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა მიმწოდებელს 2018 წლის 16 მაისის მოთხოვნის პასუხად განუსაზღვრა ახალი მისამართი.

4.7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 4 ივნისის № 18-01181551899 წერილიდან ირკვევა, რომ, როგორც ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, დარგული ნერგების ნაწილი იწყებდა ხმობას, ხოლო მათი დასამაგრებელი ჭიგოები არ იყო სწორი ფორმის. ამდენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა მოითხოვა ხარვეზების აღმოფხვრა.

4.8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 8 ივნისის № 18-01181593643 წერილით მიმწოდებელს მოეთხოვა ხარვეზების აღმოფხვრა 2018 წლის 15 ივნისამდე.

4.9. 2018 წლის 15 ივნისის წერილით მიმწოდებელმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს აცნობა, რომ მან დაიწყო წუნდებული ნერგების ჩანაცვლება, თუმცა ვერ მოასწრო პროცესის დასრულება. ამდენად, მიმწოდებელმა მოითხოვა ვადის გაგრძელება 20-21 ივნისამდე.

4.10. 2018 წლის 18 ივნისის ინსპექტირების აქტიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არ ჩაანაცვლა წუნდებული ნერგები, ასევე ღიად დატოვა ჩასანაცვლებელი ნერგების ორმოები.

4.11. 2018 წლის 20 ივნისის წერილით მიმწოდებელმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს აცნობა, რომ მან დაასრულა წუნდებული ნერგებისა და ჭიგოების ჩანაცვლება.

4.12. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა 2018 წლის 2 ივლისის №18-01181833482 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 1 მაისის № 03.01/30/214

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და შპს „გამწვანება - 2016“-ს დააკისრა პირგასამტეხლო 8 955,90 ლარის ოდენობით.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გამწვანება - 2016“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ვადის არაგონივრულობის თაობაზე და განმარტავს, რომ, როგორც საქმეში არსებული მისი 2018 წლის 15 ივნისის წერილიდან ირკვევა, მან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს აცნობა, რომ ვერ მოასწრო განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრა და მოითხოვა ვადის გაგრძელება 20-21 ივნისამდე. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის გაგზავნილ 2018 წლის 15 ივნისის წერილში არ უსაუბრია ვადის არაგონივრულობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მიმწოდებელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისთვის არ უცნობებია, რომ 2018 წლის 8 ივნისის №18-01181593643 წერილი მას ჩაბარდა 2018 წლის 12 ივნისს, როგორც იგი ამას მიუთითებს საკუთარ განმარტებაში. ამდენად, მიმწოდებელმა აღნიშნული წერილით სრულად აიღო პასუხისმგებლობა დამატებითი ვადის დარღვევისთვის.

7.4. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე იმის შესახებ, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას არ ჰქონდა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. სააგენტო განმარტავს, რომ 2018 წლის 1 მაისის № 03.01/30/214 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 9.5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შემსყიდველს უფლება ჰქონდა მიეღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, თუკი მიმწოდებელი ორჯერ დაარღვევდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. მოცემულ შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ დარგული ნერგების ნაწილი იწყებდა ხმობას, ხოლო მათი დასამაგრებელი ჭიგოები არ იყო სწორი ფორმის, რასაც ასე არ უარყოფს მიმწოდებელი (პირველი დარღვევა). გარდა ამისა, მიმწოდებელმა ასევე დაარღვია ხარვეზების აღმოსაფხვრელად განსაზღვრული დამატებით ვადა (მეორე დარღვევა). ამდენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ჰქონდა ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება და მისი გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგებოდა 2018 წლის 1 მაისის №03.01/30/214 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასა და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობას.

7.5. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2018 წლის 1 მაისის № 03.01/30/214 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.8. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ასევე დამატებით განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრა დადგენილი ხარვეზები, ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ მიიღო ვალდებულებების ხარვეზიანი შესრულება. შესაბამისად, დარღვევის გათვალისწინებით, შპს „გამწვანება - 2016“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „გამწვანება - 2016“ (ს/ნ: 406185131) 2018 წლის 30 აგვისტოს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე